კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.probation.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 16 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
www.probation.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
52,38%
66,36%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
33,33%
59,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
35,83%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
50,00%
20,08%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
9,52%
14,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
21,43%
19,33%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს უფროსის კომპეტენციის აღწერა და მისი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

სააგენტოს უფროსი

გიორგი მაკასარაშვილი

მინისტრის მოადგილე, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი

დაიბადა 1977 წლის 17 ნოემბერს ქ. თბილისში

განათლება:

1994-1998წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. მიიღო ბაკალავრის ხარისხი.

1998-2000წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მიიღო მაგისტრის წოდება.

2006-2008წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართალი (მაგისტრატურა)

2. განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „მოადგილეები“ საჭიროებს დახვეწას. სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად სააგენტოს უფროსს ჰყავს სამი მოადგილე,

ხოლო მოცემულ ქვე-განყოფილებაში მოცემულია მხოლოდ ორი მოადგილის სახელი და გვარი, და მათ შორის განთავსებულია მხოლოდ ერთი მოადგილის ფოტოსურათი და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები. ამასთან, სასურველია ქვე-განყოფილებას დაემატოს ინფორმაცია მესამე მოადგილის შესახებ, რომლის ბმულზეც გადასვლისას, იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობა ვაკანტურია მოყვანილი იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია: ,,თანამდებობა დაკავებული არ არის", ,,მოადგილე ჯერ არ დანიშნულა" ან *მისთ:*



სასურველია აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, მოადგილეების კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

3. სააგენტოს სრული დასახელება არის „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო", ხოლო ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

ამასთან, არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, ფაქსის ნომერი და სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე მოცემულია სააგენტოს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებათა აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების უფროსებისა და ადმინისტრაციული სამმართველოს განყოფილებების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; სააგენტოს სტრუქტურის სტრუქტურულ ხეზე აღნიშნულია სტრუქტურული ერთეულების უფროსების მხოლოდ სახელები და გვარები, ხოლო სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის - საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია არ მოიძიება:



- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

7. ვებ-გვერდზე არ მოიძება სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ, არ მოიძიება:

- სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების უფროსების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების ელექტრონული ფოსტის მისამართები, ფაქსის ნომრები და საკონტაქტო ტეელფონის ნომრები. ვებ-გვერდზე მოცემულია მხოლოდ თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიული ორგანოების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. სააგენტოს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, პროგრამები და პროექტები, გეგმები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ არსებული ქვე-განყოფილება „კანონი“ ცარიელია:



ცარიელია განყოფილება (ბანერი), სათაურად „სატენდერო განცხადებები“:



ცარიელია აგრეთვე, განყოფილება „ვაკანსიები“:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება ცნობები სააგენტოს უფროსის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;
- არ მოიძიება ცნობები სააგენტოს უფროსის არც ერთი მოადგილის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;

10. სასურველია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში (ბანერი) „ანგარიში“ განთავსდეს ასევე, სააგენტოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

12. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

13. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და შესაბამისი მომზადებული პროგნოზები. პროგნოზების მოცემულია მხოლოდ სააგენტოს საქმიანობის ამსახველ სემესტრულ ანგარიშში, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ.

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს საქმიანობის ამსახველი ერთიანი ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. ამასთან, განყოფილება (ბანერი) „ანგარიში“ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ სააგენტოს საქმიანობის ამსახველი 2010 წლის სემესტრული ანგარიშებით:

ანგარიში

2010 წლის I ნახევარი

2010 წლის II ნახევარი

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება სათაურად - „კანონმდებლობა“ თუმცა მასში განთავსებულია ერთადერთი სამართლებრივი აქტი - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება. სასურველია მოცემულ განყოფილებაში განთავსდეს სააგენტოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრისა და სააგენტოს უფროსის ინდივიდიუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, აგრეთვე საკანონმდებლო აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება სააგენტოს შინაგანაწესი. აღნიშნული სამართლებრივი აქტი სასურველია მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-) განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

- საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 იანვრის #8 დადგენილება „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“;

- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

- საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის #4735 დადგენილება „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“;

- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

➢ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოს შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოს და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, სააგენტოს და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება (ბანერი), სათაურად „სატენდერო განცხადებები“ ცარიელია:



- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა მისი შიგთავსი ცარიელია. სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტოს;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
52,94%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
52,63%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
8,33%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
25,00%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7

- **ნავიგაცია**

გვერდებზე გადასვლის ნავიგაცია ძალიან ცუდად არის გაკეთებული, არასწორი ალგორითმის გამო ირღვევა ვებ-გვერდის მთლიანი სტრუქტურა:



გვერდებზე გადასვლის ალგორითმის ფორმატი უნდა იყოს შემდეგნაირი:

1 2 3 … 52 53 54 55 56 … 89 90 91

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ცარიელს გვერდებს არ აწერიათ, რომ ისინი მზადების პროცესში არიან:



ვებ-გვერდის ვიდეო გალერეას არ აქვს „Thumbnails“ ანუ ვიდეო-რგოლის პირველი კადრი:



ვიდეო-რგოლები არ არის კონვერტირებული FLV ვერსიაში, რაც ართულებს მათ ჩატვირთვას:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაში, მენიუ ს ერთ-ერთი შიდა კატეგორია არის ქართულად გაწერილი:

ელ.შეტყობინებების გამოწერის მოდული არ ფუნქციონირებს:



ვებ-გვერდზე არ ფუნქციონირებს სიახლეების თარიღის მიხედვით ძიება:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდს აქვს მნიშვნელოვანი ტექნიკური წუნი. ამ ხარვეზის გამო შესაძლებელია ვებ-გვერდზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვება და ვებ-გვერდის ინფორმაციის ბოროტად გამოყენება:



კვლევაში ჩვენ დეტალურად არ აღვწერთ აღნიშნულ ხარვეზს, თუმცა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტექნიკურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში, მივაწვდით დეტალურ ანალიზს;

- **დამატებითი პარამეტრები**

ბრაუზერ INTERNET EXPLORER-ში ირღვევა ვებ-გვერდის ფორმატი:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომები, ასევე გარკვეულ კატეგორიებში ირღვევა ვებ-გვერდის სტრუქტურა. ასევე შეიმჩნევა ისეთი მცირე ხარვეზები, როგორიც არის მაგ. ინგლისურ ვერსიაში ქართული ტექსტები და სხვა. ზოგადად საჭიროებს შესაბამის განახლებას და მასზე ვებ-განვითარების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებას.